საქართველოს შინაგან საქმეთა
სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო
დაწესებულება – საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური

MINISTRY OF INTERNAL AFFAIRS OF
GEORGIA SUBORDINATED STATE
ENTITY – EMERGENCY
MANAGEMENT SERVICE

03/10/2024

MIA 8 24 03030957

სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის
ძველი თბილისის სანებართვო განყოფილების პირველადი
სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელს განყოფილების
უფროსს ქალბატონ **თამარ მელივას**

ქალბატონო თამარ,

თქვენი 2024 წლის 30 სექტემბრის N60-01242743386 წერილის პასუხად გაცნობებთ, რომ ქ. თბილისში, ჭანტურიას ქუჩა N12-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (ს/კ 01.15.04.008.048) ბანკის შენობის არქიტექტურულ პროექტში გასათვალისწინებელია სახანძრო უსაფრთხოების რიგი ღონისძიებების შესრულება, კერძოდ:

1. ტექნიკური რეგლამენტის წესების შესაბამისად გენ-გეგმაზე სრულყოფილად აისახოს შენობასთან სახანძრო ავტომობილების მისასვლელი/მისადგომი გზების მოწყობის საკითხები (შენობიდან დაცილებები, გასასვლელი).

2. შენობის გარე ხანძარსაწინააღმდეგო წყალმომარაგებისათვის, გათვალისწინდეს სახანძრო ჰიდრანტის მოწყობა და აისახოს გენ-გეგმაზე.

3. ავტოსადგომების დონეებს შორის დამაკავშირებელ პანდუსზე, გათვალისწინდეს ცეცხლმედეგი ჩამკეტი ჟალუზის მოწყობა, დასაშვებია მის მაგივრად მოეწყოს ახლო-ახლო განთავსებული სპრინკლერები, ხანძარსაწინააღმდეგო ფარდასთან ერთად (აისახოს პროექტში).

4. მთლიანად შენობის საევაკუაციო გზებზე (დერეფნები, გასასვლელები) მათ შორის ავტოსადგომებში, გათვალისწინდეს ავარიული განათებების მოწყობა.

5. მთლიანად შენობაში, მათ შორის ავტოსადგომებში, გათვალისწინდეს ტექსტური გამოცხადების სისტემის მოწყობა.

საქართველო, 0114, თბილისი, ვ. გორგასლის ქ. №83ა
ტელ: (+995 032) 2 41 44 79
ელ. ფოსტა: info@es.gov.ge

№83a, V. Gorgasali str. Tbilisi, 0114, Georgia
Tel: (+995 032 2 41 44 79
E-mail: info@es.gov.ge

6. მთლიანად შენობაში, გათვალისწინდეს III კლასის მილდგარების მოწყობა, ხოლო კიბის უჯრედებში მოცემული სახანძრო კარადები გამოტანილი იქნეს შენობის დერეფნებში, დაწნევად კიბის უჯრედებში სახანძრო კარადების მოწყობა დაუშვებელია, დასაშვებია მხოლოდ I კლასის მილდგარების მოწყობა. (აისახოს გეგმებზე).

7. მთლიანად შენობაში, გათვალისწინდეს კვამლსაწინააღმდეგო ვენტილაციის სისტემის მოწყობა და პირობთი ნიშნების სახით აისახოს გეგმებზე.

8. შენობის ლიფტების შახტებში და კიბის უჯრედებში, გათვალისწინდეს დაწნევის სისტემის მოწყობა და პირობითი ნიშნების სახით აისახოს გეგმებზე.

9. შენობის სახანძრო ლიფტების ფოიეში გათვალისწინდეს დაწნევის სისტემის მოწყობა (აისახოს გეგმებზე).

10. შენობის ავტოსადგომების დონეებზე მოცემული კიბის უჯრედების, ლიფტების და სხვა განყოფილებაში გასასვლელ ფოიეებში, გათვალისწინდეს დაწნევის სისტემის მოწყობა (პირობითი ნიშნების სახით აისახოს გეგმებზე).

11. შენობის „კ/ჯ/1/3“ და „ქ/რ/7/8“ ღერძებში მოცემული კიბის უჯრედების კარების გაღება გათვალისწინდეს ევაკუაციის მიმართულებით (იმ სართულზე საიდანაც უნდა განხორციელდეს შენობიდან გასავლა).

12. შენობის მესამე სართულზე, საკომფერენციო დარბაზის ფართობიდან საევაკუაციო გასასვლელების მოწყობა, გათვალისწინდეს ტექნიკური რეგლამენტის შესაბამისად. საევაკუაციო გასასვლელებს შორის მანძილი არ უნდა იყოს ფართობის დიაგონალის მესამედზე ნაკლები და სხვა ფართობების გავლით ევაკუაცია დაუშვებელია.

13. სახანძრო სისტემების პირობითი ნიშნების ექსპლიკაცია არ არის წაკითხვადი და საჭიროებს სრულყოფილი დასახელებების ასახვას.

14. შენობის ტექნიკურ ფართობებში და დამხმარე საკუჭნაოებში განისაზღვროს კარების ცეცხლმედეგობის ხარისხი და აისახოს გეგმებზე.

პატივისცემით,

სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო
სიტუაციების მართვის სამსახური /
ზედამხედველობის დეპარტამენტი
დეპარტამენტის უფროსი
კუჭაშვილი დავითი

ელექტრონულად დამოწმებულია
შტამპი